

იმა-შალომ ქათამაძე, ირინა მუგდუსი, ანა ასლამაზაშვილი, რევაზ მაისურაძე, თორნიკე კვინიკაძე, ანა გორდულაძე

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა/ კავკასიის ეკონომიკის სკოლა/ კავკასიის სამართლის სკოლა

Lille Catholic University, France

ევროპაში, კერძოდ კი, საფრანგეთში გაცვლითი პროგრამით წასვლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან. მოგვეცა შანსი მიგველო უდიდესი გამოცდილება, როგორც განსხვავებულ გარემოში სწავლის, ასევე ცხოვრების და პირადი განვითარების კუთხით.

სწავლის სისტემა, ლექტორები, გრაფიკი, ყველაფერი ახალი და განსხვავებულია. ავითვისეთ ენა, გავიცანით უამრავი სტუდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან, შევიძინეთ მეგობრები და ვისწავლეთ დამოუკიდებლობა, რაც აუცილებლად აისახება ჩვენს მომავალსა და კარიერაზე. დიდი მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისთვის, იმისთვის რომ ძალიან წარმატებულია ერაზმუსის გაცვლითი პროგრამების მიმართულებით და გვამღევეს შანსს, თუნდაც ერთი სემესტრი გავატაროთ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. ეს გამოცდილება ნამდვილად დაუვიწყარი იქნება თითოეული ჩვენგანისთვის!.